DOI.org/10.52340/PUTK.2024.28.23

კულტურული მემკვიდრეობა ღია ცის ქვეშ (ეპიტაფიებისა და ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)

CULTURAL HERITAGE UNDER THE OPEN SKY (ACCORDING TO EPITAPHS AND ETHNOGRAPHIC MATERIALS)

დავით შავიანიძე
ლუიზა ხაჭაპურიძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

David Shavianidze
Luiza Khachapuridze
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

ABSTRACT

Epitaphs and ethnographic materials serve as primary sources for researching an ethnos' self-awareness and sociocultural characteristics. The epitaphs and related ethnographic materials that we collected in various historic-ethnographic regions of western Georgia are discussed in the proposed study.

The materials analyzed point to "the truth that a mirror tells us". Different terms were employed to signify and distinguish between sik'vdili (death) and gardac'valeba (transformation, passing away,) (/"departing this world"): death is governed by "a merciless fate", while departing from this world is governed by the "providence of nature".

A gravestone specifies the epitaph that is a representation of various aspects, including national self-consciousness, vision, way of life conditioned by ethnopsychology, the interplay between traditional culture and modernity, unique cultural-traditional complexes, and the transmission of morals and duties across generations.

Gravestones are also epigraphic monuments adorned with inscribed or engraved ornaments and calligraphy. They manifest the history of both the nation and the national language.

The materials used for our research, collected and studied over the years during expeditions, are preserved in the collective memory of the Georgian people, akin to a museum or archive.

Based on the findings of extensive ethno-historical research, we believe that a gravestone should be acknowledged as a cultural heritage monument.

საკვანძო სიტყვები: ქართული ტრადიციული კულტურა, საფლავის ქვების ეპოგრაფიკა, ქართული ეპიტაფიები.
Keywords: Georgian traditional culture, tombstone epigraphy, Georgian epitaphs.

შესავალი

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „ხალხის სული“ შესწავლილ უნდა იქნეს ენის, მითოლოგიის, მორალისა და კულტურის შედარებით (თოფჩიშვილი 2013).

„ხალხის სულის“ (ეთნოგრაფიული მასალებით, „დროით გამოცდილი, ეროვნული ხასიათით გაჯერებული ცხოვრება“) კვლევის საქმეში წყაროდ დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში მოძიებულ ეპიტაფიებს ვეყრდნობით.

მიღებული დასკვნების გასამყარებლად გამოვიყენებთ შესაბამისი შინაარსის ეთნოგრაფიულ მასალებს.

სამსჯელოდ გამოტანილ, ქრისტიანულ-რელიგიური და ხალხური ხედვის ამსახველ ეპიტაფიებში დადასტურებული ტერმინებით, სიტყვა-თქმებით, სხვადასხვა სოციალურ-კულტურული მახასიათებლებით ირკვევა ქართველთა ნაციონალური თვითშეგნების, ეთნოფსიქოლოგიის, ისტორიული, ტრადიციული კულტურის თანამედროვეობასთან მიმართების საკითხები.

შეისწავლება სხვა ეთნოსებთან ურთიერთობებით, მომხვდურთა იდეოლოგიური და სხვა მანქანებით შემოთავაზებულის მიღების, ეპოქის შესაბამისი მახასიათებლები.

საქართველოში უმრავლესობას გათავისებული ჰქონდა მართლმადიდებლური, ტრადიციით ნასაზრდოები მსოფლმხედველობის გავლენით ჩამოყალიბებული, „გააზრებული“ და „სავალდებულო შესასრულებლად მიღებული“, „განგებულების“(/„ტრადიციულ-რწმენითი ცხოვრება“) წესი.

ყოველივე აღნიშნული კულტურული მემკვიდრეობაა და მას გვინახავენ ეპიტაფიები და ეთნოგრაფიული მასალები.

მეთოდები

კვლევისას ვიყენებთ დაკვირვებისა და შედარებითი ანალიზის, კომპლექსურ-ინტენსიური კვლევისა და ისტორიულ-შედარებით მეთოდებს.

მსჯელობა

ტერმინებით და სიტყვა-თქმებით გადმოცემული თვითშეგნება, ცხოვრების საზრისი ეპიტაფიებში

ქართველთა ცხოვრების შინაარსის, იდეის, მიზნის შემსწავლელი ერთ-ერთი პირველწყარო ეპიტაფიები და ეთნოგრაფიული მასალები გვიყვებიან რწმენით, ტრადიციული მსოფლმხედველობით ნასაზრ დოები ხედვის, „მშველელ-გადამრჩენელი“ წესის ცოდნის შესახებ; იკითხება „ისეთი სიმართლე, სარკე, რომ გეტყვის“; ხსოვნით სიკვდილის დამარცხების შესახებ.

„ჩემი სიცოცხლე ზეციერს გაჰყვა ღვთიურმა შუქმა წარმტაცა მზერა.

უფალო, ახლა შენს კართან ვდგავარ, ლოცვა-შენდობით მიმიღებ, მჯერა!

თუ დავიჩოქებ, მხოლოდ უფალს დავეჩოქები და სალოცავად მხოლოდ წმინდა ტაძარში შევალ... მკვდარიც კი შენი მონა ვარ მამულო, ჩემო რაინდო.

ეს უსაშველო ზამთარი შენ უნდა გამიამინდო...
მე გვერდით მიდგას ანგელოზი მშვილდად და ფარად
და საფლავშიაც მისი მადლი მიცავს და მფარავს.“

(1929-1995 წ. სოფელ მაღლაკის საფლავის ეპიტაფია).

ხალხმა განასხვავა სიკვდილი და გარდაცვალება (/„ქვეყნიდან გაყვანა“), რომ სიკვდილის გამგებელი „უწყალო ბედისწერაა“, გარდაცვალებისა კი – „ბუნების განგებულება“; ირკვევა, რომ „გიცხოვრია და არა მარტო გიცოცხლია, თუ წუთისოფლისგან (/„საფხიზლო თვალი“) „ხელდარეული“ არა ხარ.



„როგორ ვფიქრობდი მე ჩემ ცოლ-შვილზე, ბედმა უწყალომ არ გამახარა...“ (სოფ. სიქთარვა).

მე გრიგოლ ვაშაკიძესა ბედმა მიმტყუნა თავზედა და ტრაგიკულად მომისპო სიცოცხლე სადღაც გზაზედა (სოფ. ჯიხაიში).

„შვილო ბინა შენ მოგიწყვეთ, ბევრი ზედ რამ დასამშვენი
ერთ გვერდს მამა მოგიწვება, მეორეზე დედაშენი.
სანამ ერთმანეთს ვნახავდეთ, იქონიე მოთმინება
სადაცაა მალე მოვა დედაშენის მოსვლის ნება... “

(1911-1934 წწ. სოფ. პატარა ეწერი).

უდროოდ სიკვდილს მე არ ველოდი, ბედი მქონია უიღბლობისა.

(ხარაგაული, სოფ, ლაშე).

მუხიანის მკვიდრი, ვალოდია („ხუგუნია“) ილიკოს ძე მარგველაშვილის საფლავის ქვაზე ასეთი ეპიტაფიაა: გულქვა სიკვდილო როგორ გამიცან, რაზედ გამწირე ბიჭი კეთილი ...ბედმა, სიკვდილმა არ გამახარა, ადრე გათხარა ჩემი სამარე.

უნდო სიკვდილმა შავმა უგულომ არ მომცა ნება არ დამაცალა. ასე უდროოდ მშობლებს, მეგობრებს მან ჩემი თავი გამოაცალა... (ჭიათურა).

ეპიტაფიები ბაღდათის სასაფლაოდან: „ოხ სიკვდილო დაუნდობო, უსამართლო, უკანონო, რას მერჩოდი მე ალალ ბიჭს, რისთვის მომსპე უნაყოფო; უნდო სიკვდილმა რა მიყო? წავედი, განა დროებით“.

მე ნაადრევად თვალი დავხუჭე, მზე დამიბნელა ურჩმა სიკვდილმა...
(მარელისის სასაფლაო).

„ამ სამარეში ცივსა და ბნელსა უძრავ უსულოდ განისვენებს მამაჩემის ერთა შვილი ვარლამ ტროფიმეს ძე გერაძე. ჩემს ამბავს თუმცა იკითხავთ მაქვს პატივი მოგახსენოთ თექვესმეტი წლისა ვიყავ ვსწავლობდი დაბა ხონშია სამოქალაქო სასწავლებელის 4 კლასში ვიყავი ვეწაფებოდი სწავლის ნიჭს. მსურდა მშობელთა ნუგეში, მაგრამ დახედეთ ჩემს ბედსა, რარიგ დროსაცა მიმტყუნა მომსპობად ამა სოფლიდგან მომივლინა სიკვდილი. სიკვდილმან ამა უწყალომ არ დაინდო ახალგაზრდობა ჩემი ცელი შემომკრა ფეხი მომსხლიტა და მიმაბარა საფლავსა. საბრალონი ჩემნი მშობელნი დავსტოვე მწუხარებაში და წამკითხველნო ყველას გთხოვ რომ მინუგეშოთ ისინი. ვარლამ ტრიფომეს ძე დაიბადა იანვარს 1887წ გარდაიცვალა 1903 წელსა“ (სოფ. ბაში).

ეთნოგრაფიული მასალა:

„სახიფათო და სათუო, უმეტესად უსაშვლო ზამთარის მსგავსი ცხოვრება ბედშავი რომ არ გამოგადგეს, სოფელს ალღო უნდა აუღო, გვერდი არ მისცე“ (მთხრობელი ე. ჩიტიძე-ლომთაძე. ოკრიბა, სოფ. ჯონია, 1993).

„სიკვდილი შენი გვერდით მდგომელის წამრთმევი შავი ჯოჯოხეთია. გარდაცვალება მარადიულში გადასვლა, აქ მიწიერში კვალის, ხსოვნის დატოვებაა“ (მთხრობელი ვ. სუბელიანი. სოფ. ბეჩო, 2018).

„სიკვდილი კაცს უსახელოდ გადააგებს. ამფერი, დაუნდო, მცელავ-მომსვრელი ძალა, არაა ღმერთისმიერი“ (მთხრობელი გ. დიასამიძე. მარეთის ხეობა, სოფ. პაპოშვილები).

„გარდაცვლილი სახელ და გვარდატოვებულია, მაგრამ შენ გვერდით აღარაა და ამიტომ დაუნდობელ წამყვანს სიკვდილი ვუთხარით“ (მთხრობელი რ. უბილავა. წალენჯიხა, სოფ. ჭალე,.

„სიკვდილი – ქვეყნიდან წასვლა, გასვლა, გარდაცვალება – ზეცის ჩამოქცევაა“ (მთხრობელი ვ. ბრეგაძე. ოკრიბა, სოფ. ოხომირა. 2015).

ეპიტაფიით გადმოცემულ ხალხურ მიდგომაში, რომ „უსამართლო და ტიალი წუთისოფლის“ მართვა შეგიძლია, თუ ბუნებად ღმერთის რწმენა და მტერ-მოყვრის სიყვარული გაქვს, რომ მარადიულობა სიყვარულით და მადლით ცხოვრებას მოაქვს და ამიტომ „კვალი, სახელი უნდა დატოვო, არ უნდა მოკვდე, უნდა გარდაიცვალო“ იკითხება ქრისტიანობის ცოდნის, ზოგადად რწმენითი ბუნების შესახებ.

შდრ.: წმინდა მამათა ცოდნა: გარდაცვალება ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობა არ არის, რადგან იგი უფლის ნებას არ წარმოაჩენს. როდესაც შემოქმედმა ადამიანი დაბადა, სულისა და ხორცის ერთობაში ქმნა და ასეთ მდგომარეობაში დაუდგინა ცხოვრება. ...როდესაც ადამს და ევას უფალთან ერთობის პირვანდელი სახე წაართვა და ხორციელ ხრწნილებას დაუქვემდებარა, კაცთმოყვარე ღმერთის განგებულებამ დროებით გაყრა სულისა და ხორცის საუკუნო აღდგომით შეუცვალა. ასე შეიქმნა გარდაცვალება მარადიული სიცოცხლის საწყისად“ (კალანდაძე 2021: 72).

სიკვდილი არის მოკლება სიცოცხლისგან და არა არსებობისგან, რადგანაც, რაკი გაჩნდება ადამიანი, არასოდეს დამთავრდება მისი არსებობა. სიკვდილი არის ღვთისაგან, იმავე სიცოცხლისგან, ბედნიერი არსებობისთვის დაცილება (იქვე: 73).

გარდაცვალება სინამდვილეში ხელახალი შობაა სხვა სამყაროში (სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II; https://sibrdzne.ge/18845).

ქართველთა ეთნოფსიქოლოგიის ზოგიერთი საკითხი (უღალატობა, მართალი და საცხოვნებლად სახსენებელი ცხოვრება, „სიკვდილის რისხვიანობა“, სამშობლოს შენად გულვება, მისთვის, კაცისთვის „დაფერფვლას“, უფლისადმი წყრომის მიუღებლობა).

ეპიტაფიებით და ეთნოგრაფიული მასალებით ირკვევა, რომ მიუღებელი და „აუგად სახსენებელი“ იყო „ღალატიანი“ (ქვეყნის, ოჯახის, მტერ-მოყვრის – ხაზი ჩვენია) და „სხვისი მონურად მსახური“.

მე ის ვარ ვისაც
არ სჩვეოდა ღალატი კაცის
და არასოდეს ეკუთვნოდა
მსახურად არც ვის (ოკრიბა. გელათის სასაფლაო).

შედარებისთვის: ღალატი აღიარებულია არა მხოლოდ მიზანმიმართულ განზრახვად, არამედ – ხასიათის სისუსტედ, ოსტატობის ნაკლებობად (https://minikar.ru/ka/goroskopy/psihologiya-predatelstva-predatelstvo-potainye-citaty-o/).

„ყველასათვის კარგს და ყველას დამხმარეს ვეღარ მიხილავთ ქმარ-შვილო ვერა,
მომიგონე თქო თხოვნაც არ მინდა ვერ დამივიწყებთ არასდროს მჯერა.
ბავშვებს მიხედე დაადგი თავი, არ აუნგრიო მათ ფუძე, ბინა
თუ ვინმე გაჩნდეს ჩემი შემცვლელი და მაგ შენს გულში დაიდოს ბინა,
ვაჟკაცად დარჩი არ უღალატო, ვინც შენ სიყვარულს ბავშვს შეეწირა“.
(სოფ. დაფენილის სასაფლაო).

ეპიტაფიებით აღწერილის მსგავსია ეთნოგრაფიული მასალებით გადმოცემული მენტალური მახასიათებელი და ხალხის ცოდნა, რომ „სიკვდილის რისხვიანობის“ მიუხედავად უნდა იფიქრო არა ღვთისაგან გაწყრომაზე, არამედ უფლისგან მოვლენილ გამოცდაზე.

ეთნოგრაფიული მასალა:

„წუთისოფელს ზეციური გამგები ჰყავს. წეს-კანონს მიწიერში განსაზღვრავდა სიყვარული და ცოდნა იმქვეყნიურზე, რომ ღვთის ნებაზე წყრომა არ შეიძლება“ (მთხრობელი ვ. ჩიტიძე. ოკრიბა, ორპირი, 1996).

„წუთისოფლის სიავე მისგან გამოცხადებული ომი „ხელს ვერ დაგრევს“, თუ საკაცოდ მომქმედი, მიწის მკოცნელი, დამცველი ხარ, ასეთის წასვლა გტკივა. არც ღმერთისადმი წყრომის უფლება გაქვს“ (მთხრობელი ზ. გულბანი. სვანეთი, კალა, 2021).

„ღმერთი არ გიწყრება, როცა ცხოვრებასთან არ ომობ, კაცის სახელად, გარდაცვლილის ხსოვნად არ იცოცხლებ. შენ მით უფრო არ გაქვს წყრომის უფლება“ (მთხრობელი მ. მილორავა. ვანი, სოფ. შუამთა).

ეპიტაფიებით ირკვევა ხალხის ცხოვრების წესის (/„რჯულის“) შესახებ, რომ უნდა „დააჭარბოს“ პატიოსნებამ, სიკეთე-მადლიანობამ, მოყვასის გამტანობამ, გონიერებამ, სამართლიანობამ.



(ახალი თერჯოლა).

„აღარ მეღირსა დიდი ხნის სიცოცხლე, შრომა გარჯა და სიხარული“ (სოფ. კეთილარის სასაფლაო).

ირკვევა ობიექტურ-ზნეობრივი წესის შესახებ, რომ „შესაძლებლობის, ვიღაცის იმედის გარეშე, საზოგადო, სიკეთის ქმნადობით გაჯერებული ცხოვრება პროფესიასავით, ვალდებულებად გქონდეს“.

ქონება და ფულის ძალა არასოდეს არა მქონდა
მაგრამ ლელო წუთისოფლის გამქონდა და გამომქონდა.
წუთისოფლის უცხო სტუმარს თავი დიდად არ მომქონდა
რაც მიწაზე ვერა ვპოვე, ის ზეციდან ჩამომქონდა
(ქუთაისი. გორას სასაფლაო).

ეთნოგრაფიული მასალა:

„სხვისი მოიმედეობა ლაჩრობაა, ჯვრის ტვირთვა, ცხოვრებისთვის თვალის არმოხუჭვა – უკვდავებასთან წილნაყარობა“ (მთხრობელი მ. მახარობლიძე. ლეჩხუმი, სოფ. ლაჯანა).

„გადამრჩენელი რწმენა, მართალი სიტყვა-ქმედება და არათავის გამოჩენა ზეციურ სამყოფში პირნათელად მიგიყვანს“ (მთხრობელი გ. მაჭარაშვილი. სოფ. კორბოული).

შედარებისთვის: „ჩვენს სამყოფ და ბოლომდე მოსაწონ ხმიადს არასოდეს და მით უფრო დაუმსახურებლად არ მოგვიტეხავს“; „საწუთრო ძუნწია და ხელმოჭერილი, ვერც შეევაჭრები ამ სოვდაგარს». ამის მიუხედავად ადამიანი მოევლინა ამ ქვეყანას ღვთის ნებითა და შეწევნით და შენი ჯვარი უნდა ატარო სიცოცხლის ბოლომდე ჯვარის რწმენით გაძლიერებულ წუთისოფელში. საწუთრო მიჩნეულია ადგილად, სადაც ადამიანმა მადლი უნდა მოიხვეჭოს, იბრძოლოს, გამოიცადოს (ალხაზიშვილი).

მენტალობასა და ცხოვრების სოციალურ-კულტურულ მახასიათებლებზე ბოლომდე ვერა, მაგრამ გავლენას ახდენს გარე ფაქტორები.

მეცნიერებაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ პირადი არაცნობიერის გარდა გვაქვს კოლექტიური არაცნობიერი, რომელსაც პირველი ადამიანის

პერიოდიდან მოყოლებული შენახული აქვს ჩვენთვის საჭირო და მნიშვნელოვანი ინფორმაცია. როცა საფრთხის წინაშე აღმოვჩნდებით, ამ ცოდნას, გვინდა თუ არა, ვიყენებთ (ელბაქიძე).

„ვაჟკაცური ნებისყოფის პიროვნება, ლხინის დროის ტკბილად მოუბარი ჭირის დროის თანამგრძნობელი, გაუტეხელი ადამიანი. მტკიცე საბჭოთა ოჯახისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მოტრფე ყველა მშრომელის მოყვარული და ფეხწამოკრული კაცის დამხმარე ასეთი იყო ცხოვრებაში ღვაწლმოსილი პედაგოგი.“

ვლადიმერ გრიგოლის ძე ჩიხლაძის საფლავის ქვის ამ ეპიტაფიაში ნახსენები „მტკიცე საბჭოთა ოჯახი“ კომუნისტური ეპოქის კვალია. თუმცა მას ვერ გაუქრია ქართველთა ყოფით-კულტურული ცხოვრების წესი, სოციუმის, ზოგადად ეთნოსის რელიგიურ-რწმენითი, დროით გამოცდილი ტრადიციული ნორმები.

ჩვენ მიერ ეპიტაფიებისა და ეთნოგრაფიული მასალების კვლევის საფუძველზე გამოვლენილ ადამიანის ფსიქოლოგიას ეფუძნება რწმენა, რომ „ხსოვნა სიკვდილზე დიდია“ (სოფელ დაფენილის ეპიტაფია).

აფხაზეთში გამართულ საქართველო-რუსეთის ომში დაღუპული, ქუთაისში დასაფლავებული გმირის ეპიტაფიით დასტურდება სიამაყე ჭირისუფლისა, რომ მათი სისხლი და ხორცი სამშობლოსთვის დაიღუპა.



ცნობილია, რომ ადამიანები აფასებენ და უფრთხილდებიან თავიანთ დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას, ამიტომ, როდესაც გარე სოციალური ზეწოლა ზედმეტად ძლიერია და ზღუდავს ადამიანს, ის შეიძლება გაღიზიანების გამო იმის საწინააღმდეგოდ იქცეოდეს, რასაც მას სთხოვენ, ანუ, საქმე გვქონდეს ბუმერანგის ეფექტთან (ნადირაშვილი 2009).

ეთნოგრაფიული მასალა გალიდან:

აფხაზეთში რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული ქართველი მეომრების საფლავებზე რგავენ მაგნოლიებს და იციან, რომ იქ ქართველი არის დასაფლავებული და მიაგებენ პატივს. ქვას ვერ აკეთებენ, რადგან არის საშიშროება საფლავთა დაკარგვის (მთხრობელის ვინაობას არ ვასახელებთ).

მეორე მსოფლიო ომი საბჭოთა იდეოლოგიამ კავშირის შემადგენლობაში შემავალი რესპუბლიკების მკვიდრთ „დიდ სამამულო ომად“ წარმოუჩინა.

ვაშნართან, ოსმალებთან ბრძოლაში დაღუპულ გურულ მოხალისეთა საფლავი

საბჭოურმა სისტემამ ვერ იარსება იმდენ ხანს, რომ, მიუხედავად ზეწოლისა, დიდ უმრავლესობას ეღიარებინა საბჭოეთი სამშობლოდ. შესაბამისად, ქართველთა დიდი უმრავლესობაც, ჩვენი აზრით, მსოფლიო ომში საკუთარი სამშობლო საქართველოს გადარჩენისთვის ომობდა. აღნიშნულის დასტურია 81 წლის წინ გიორგი ჩხიკვაძის მიერ ქერჩიდან გამოგზავნილი წერილი: „... 29 ივნისს ჩამოვედით ერთ სადგურში და ახლა აქედან გავდივართ. მაგრამ სად მივდივართ ჯერ არ ვიცით. თუმცა თქვენც კი მიხვდებით, სად მივდივართ. მაგრამ მე სრულებით არ მეშინია და არც არის საშიში. საზღვრამდე 170 კილომეტრით ვართ დაშორებული. სული წინ მისწრებს როდის მივალთ საზღვარზე, რომ ჩემმა „ვინტოვკამაც“ ჩააძაღლოს ის ქოფაკი, გერმანიის ღორული დინგი, რომელიც ჩვენთან შემოუყვია. ვიცი მალე ჩაეშლება გეგმები და სულ მალე იქნება ის დრო, როცა საბოლოოდ განადგურდება. მე სულით მწყურია რომ მივიღო მონაწილეობა მათ განადგურებაში. მართლაც, რამდენიმე დღის შემდეგ მეც ვიქნები ჩვენი სამშობლოს მოწინავე, დამცველი მეომარი. ... გთხოვთ სუყველას, რომ მე სრულებით არ მიჯავროთ. მე თუ ცოცხალი დავრჩები, ხომ კარგი თქვენთვის და ჩემთვის. და თუ არა, მე მოვკვდები ჩემი სამშობლოსთვის და თქვენთვისაც საამაყოა ის, რომ თქვენი შვილი ავადმყოფობით კი არ მომკვდარა, ან სხვა რაიმეთი, არამედ ის მოკვდა სამშობლოს გულისათვის...“.

ეპიტაფიებით, ეთნოგრაფიული მასალებით გადმოცემული სინამდვილე („მე მოვკვდები სამშობლოსთვის“) სამშობლოსთვის სიკვდილის მზაობას რომ აღნიშნავს, ადასტურებენ ომში დაღუპულის ოჯახის წევრები. მაგალითად, მთხრობელი ნარგიზ ბუხაიძე გეუბნება, რომ: „თავის ბიძა ბევრ სხვათა მსგავსად იბრძოდა იმისთვის, რომ ფაშიზმს მისი სამშობლო საქართველოში არ შემოეღწია“.

შდრ., **ეთნოგრაფიული მასალა:**

ქუთათელაძების გვართან დაკავშირებული ეთნოგრაფიული მასალებით, იმერეთში მკვიდრი თავადი ღოღობერიძების აზნაურებიდან ერთი, ივლიანა ანტონის ძეს ქუთათელაძე, იბრძოდა ქერჩში,

სევასტოპოლში, უკრაინაში „ჩვენი ქვეყნის დასაცავად“, რომ აქეთ მტერი არ გამოეშვათ. ანუ, მთხრობელებში „საბჭოთა სამშობლოს“ ცნება არ არსებობს, მათ უმრავლესობაში სამშობლო საქართველოა.

„მამაჩემი, გრიგოლ ბასილაძე მეორე მსოფლიო ომის მონაწილე იყო. ომიდან დაბრუნებული იხსენებდა, როგორ უნდოდა მას და ქერჩის ბრძოლაში მონაწილე ქართველებს, რომ ბოლო მოეღოთ ფაშიზმისთვის, რათა ეს საშინელება მათ სამშობლო საქართველოში არ შემოღწეულიყო. ამას გვეუბნებოდა ისე, რომ არ გაგვნელებოდა სამშობლოს სიყვარული. არ შეგვპაროდა ეჭვი, რომ სამშობლო საქართველოა. არ დაგვეჯერებინა მისი თაობის ნაწილის მსგავსად, რომ სამშობლო შეიძლებოდა ყოფილიყო საბჭოთა კავშირი“ (მთხრობელი იმერ ბასილაძე. ქუთაისი, 2023).

თუმცა მეორე მსოფლიო ომის ფრონტიდან გამოგზავნილი „სამკუთხა წერილები“ გვამცნობენ განსხვავებული, გაორებული მიდგომა-დამოკიდებულებების შესახებ. მაგალითად, მოიკითხავს რა ქერჩის ბრძოლების მონაწილე აპოლონ გაბელაია (აბაშა, სოფელი ნოღოხაში) საკუთარ ოჯახს, წერს იმასაც, რომ მადლობელია მისი მშობლების, რომელთაც გააჩინეს ის საბჭოთა ხელისუფლების მსახურად. აპოლონ გაბელაიას ქმედების შესახებ გვიყვებიან მისი შვილიშვილები: ინეზა და ბესარიონ გაბელაიები. მათი თქმით, რუსეთში სამხედრო სასწავლებლის კურსდამთავრებული ბაბუა რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ აბაშის კომისარი იყო. ომის დაწყების უმალ გასჩენია უამრავი „შემწუხებელი“, რომ დახმარებოდათ კომისარი შვილების ომიდან დატოვებაში. იმით შეწუხებულ კომისარს, რომ ბევრს უნდოდა საკუთარი წვლილი არ ჩაედო ფაშიზმის საქართველოში არშემოღწევის, არგავრცელების საქმეში, თავად დაუწერია თხოვნა, რომ გაეშვათ ომში საბრძოლველად. ჩვენი მთხრობელების თქმით, „მათი ბაბუა ყოფილა მსურველი იმისა, რომ მასაც, სხვა უამრავი ქართველის მსგავსად, გაერთმია თავი მისიისთვის, რასაც სამშობლო საქართველოში ფაშიზმის არშემოღწევა, ვერგაბოგინება ერქვა“.

საბჭოეთის პერიოდის საქართველოს მკვიდრ ქართველთა საკმაოდ დიდი ნაწილის გაორებული ფსიქოლოგია თვალშისაცემია „საბჭოთა არმიაში“ სამსახურად გამწესებული დავით შავიანიძის მშობლების წერილებში. მშობლები ლამარა ბოჭორიშვილი და ჯიმშერ შავიანიძე ჯარისკაც შვილს წერენ „მამულ საქართველოში დაბრუნების“ შესახებ; ულოცავენ „9 მაისს, ომზე გამარჯვების 42-ე წლის თავს“; შეახსენებენ ქართველთა ამტანიან და გონიერ ჯიშსა და ჯილაგზე, რუსთა გენეტიკის გამო რუსულ სიცივეზე; რუსთაგან სხვაგან, მათ შორის საქართველოში ქმედების მოჩვენებითობაზე და იმავდროულად საბჭოეთის სამსახურის აუცილებლობაზე, რადგან რუსები არიან საბჭოთა კავშირში რაოდენობის გამო მთავარი: „სხვა დროის მსგავსად გაივლის დარჩენილი დროც შენი სამხედრო სამსახურში მანდ, ცივ რუსეთში, რუსებში ყოფნის და დაბრუნდები ჩვენ სამშობლოში. ქართველი კაცი ყოველთვის ვაჟკაცურად იტანდა ყველაფერს და აბა თქვენ იცით, ჩვენებურად, ძველქართველური ჭკუა-გონებით, გამჭრიახობით და ვაჟკაცობით ასახელეთ საკუთარი თავიც და თქვენი პატარა დედა საქართველოც. გახსოვდეთ, რომ ქართველთა ჯიშის და ჯილაგისანი ხართ და საბჭოეთსაც უნდა ემსახუროთ. სასმელის გამოუგზავნელობას შენთვის და არც შენი ბიჭებისთვის არ ვიდარდებ, იცი, მაგრამ მაგ სასმელზე გადარეული, ცივი და თავისთვის რუსებისთვის

ვფიქრობ, იქნებ დაგინდონ და არ გაგიჭირდეს. მაგენი აქ საქართველოში კანონის ხალხად აცხადებენ თავს, ჩვენთან უნდათ დაამყარონ წესრიგი და რამ გადარია და გააოხრა ეს ოხრები? რას ვიზამთ შვილო, ჩვენ ცოტანი ვართ და ეგენი გაწყვეტამდე ბევრი არიან, ოხრები. რას ვიზამთ ყოველ მოქმედებას ჭკუა უნდა დავატანოთ, ჩვენი თავი არ უნდა დავაზარალოთ, ხომ გაგიგონია „ძალა აღმართს ხნავსო?“

აღნიშნული ფსიქოლოგია დადგა იმ ზეგავლენის შედეგად, რომელიც მოასწრო საბჭოურმა იდეოლოგიამ. ანუ, დამპყრობელი „რუს-კომუნისტების“ ცხადი თუ შეფარული ქმედებებით მოხდა ის, რომ საქართველოში დიფერენცირდა კატეგორია, რომელთაც ვერ შეუცვალეს მენტალობა, რომელიც გაორდა საბჭოური ხელისუფლების დროს, საბჭოთა სამშობლოსა და სამშობლო საქართველოს გასარჩევად.

დასკვნა

საფლავის ქვა მოიცავს ეპიტაფიაში გადმოცემულ ნაციონალურ თვითშეგნებას, სხვა ეთნოსებთან ურთიერთობისას ნებით მიღებულ თუ თავსმოხვეულ სოციალურ-კულტურულ მახასიათებლებს, ეთნოფსიქოლოგიით განპირობებულ ცხოვრების წესს, თაობებისთვის გადაცემულ სპეციფიკურ და უნიკალურ კულტურულ-ტრადიციულ კომპლექსებს, მორალს და ვალდებულებებს. საფლავის ქვა ამავე დროს ეპიგრაფიკული ძეგლიცაა, მასზე გამოკვეთილი ორნამენტებით, კალიგრაფიით. იგი როგორც ერის, ასევე ეროვნული ენის ისტორიაა.

ჩვენ მიერ კვლევისთვის გამოყენებული მასალები დაცულია ერთგვარ მუზეურ არქივში, ქართველი ხალხის მეხსიერებაში, რომელიც წლების განმავლობაში ექსპედიციების დროს შევკრიბეთ და შევისწავლეთ. კომპლექსურ-ეთნოისტორიული კვლევების შედეგებიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, საფლავის ქვა მივიჩნიოთ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად.

გამოყენებული ლიტერატურა

ალხაზიშვილი 2007: ალხაზიშვილი გ., „რა გამჭვირვალეა შენი სინანული – ნაყოფი პირვანდელ სინათლის“, 2007 http://karibche.ambebi.ge/rtsmena/interviu-sulier-sakithkhebze/2271-qra-gamtcvirvalea-sheni-sinanuli-nayofi-pirvandel-sinathlisq.html დამოწმება: 20.07.2023.

ელბაქიძე: ელბაქიძე ნ., ფსიქიკა – პირადი მცველი https://azrovnebisakademia.ge/chven-gvqhavs-datsvebi-phsiqologi-nino-elbaqidze/ დამოწმება: 20.07.2023.

თოფჩიშვილი 2013: თოფჩიშვილი რ., ეთნოლოგიური მეცნიერების შესავალი. თბილისი, 2013 https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/336198/1/Etnologiuri_MecnierebisShesavali.pdf დამოწმება: 20.07.2023.

კალანდაძე 2021: კალანდაძე გ., საქართველოს დიდება. ღვთიური სიბრძნის მართლმადიდებლური ენციკლოპედია, ეკლესიის ქართველ მამათა გამონათქვამები. თბილისი, 2021.

ნადირაშვილი 2009: ნადირაშვილი დ., სოციალურ-ფსიქოლოგიური გავლენა. თბილისი, 2009 https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/322380/1/Socialur_Fsiqologiuri_Gavlena.pdf დამოწმება: 25.07.2023.

https://minikar.ru/ka/goroskopy/psihologiya-predatelstva-predatelstvo-potainye-citaty-o/ დამოწმება: 25.07.2023.

https://sibrdzne.ge/18845 დამოწმება: 25.07.2023.